ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95.95222105**

თარიღი:**29/07/2022**

ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მდებარე 2879 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 21.02.32.300) არსებულ სოციალურ სახლში (N01/5 - 2393.1 კვ.მ. საერთო ფართი) 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა).

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტ 20 (ოცი) ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემული იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოთაღნიშნულ საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული 20 ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა), რის თაობაზეც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 05 ივლისის №3764/02 წერილი - მოთხოვნა ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მდებარე 2879 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 21.02.32.300) არსებულ სოციალური სახლში (N01/5 - 2393.1 კვ.მ. საერთო ფართი) რეგისტრირებული 20 (ოცი) ერთეული ბინა დანართი N1-ის მიხედვით, შემდგომში მათი ეკომიგრანტ ოჯახებზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

2.ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების

უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე